**ხელშეკრულება №1-14**
**გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესახებ**
**CPV - 92310000**

**თბილისი** **19 აპრილი 2019 წ**

ერთი მხრივ, სსიპ „მწერალთა სახლი“ (შემდგომში - „შემსყიდველი”), წარმოდგენილი დირექტორ-მენეჯერის ნატალია ლომოურის სახით და მეორე მხრივ ფ/პ ალეკო ჩიღვინაძე (შემდგომში – „მიმწოდებელი“), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად ,,მიმწოდებლი“ უზრუნველყოფს ,,შემსყიდველისათვის“ კულტურული ღონისძიების ჩატარებას პროექტის ფარგლებში „მწერალთა სახლი შიდა ქართლის სკოლებისთვის“. პროექტი ხორციელდება ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ მხარდაჭერით.

**2. ხელშეკრულების ღირებულება**

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **274,00** (ორას სამოცდათოთხმეტი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

**3. მომსახურების სახეობა და მიწოდების პირობები**

3.1. „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს ,,შემსყიდველისთვის” საჯარო ლექციის ჩატარებას პროექტის ფარგლებში „მწერალთა სახლი შიდა ქართლის სკოლებისთვის“. ლექციის თემა:"უჩინარი ბავშვებიდან ჯადოქარ ბავშვებამდე -- ბავშვები ლიტერატურაში“ .

3.2. „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს ,,შემსყიდველისთვის” მომსახურების მიწოდებას 2019 წლის 19 აპრილს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში შიდა ქართლის სოფლების სკოლის მოსწავლეებისთვის.

**4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**

4.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარისწორებით ეროვნულ ვალუტაში.

4.2.„მიმწოდებელი” ფაქტიურად მოწოდებული მომსახურების თაობაზე “შემსყიდველთან” ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს.

4.3. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ 5 სამუშაო დღეში.

4.4. დაფინანსების წყარო: **მიზნობრივი გრანტი** (№1620_ OPGF).

**5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე “შემსყიდველის” მიერ იმ მომსახურების მიღება, რომელიც უნდა მიაწოდოს “მიმწოდებელმა” ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირობებითა და წესით.

5.2. ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, არ მოხდება თანხის გადახდა, ხოლო საკითხის 10 დღის ვადაში მოუგვარებლობის შემთხვევაში, “შემსყიდველის” მიერ მიიღება გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

**6. მხარეთა უფლებები**

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან არაჯეროვნად შესრულებაზე მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**7. მხარეთა ვალდებულებები**

7.1. “მიმწოდებელი“ ვალდებულია:

ა) დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები.

ბ) დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის“ თანხის გადახდა ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტის შესაბამისად.

ბ) დროულად განიხილოს „მიმწოდებლის” მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

## 8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში.

8.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

8.3. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

## 9. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების“ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 10. სადავო საკითხების გადაწყვეტა

10.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა გარემოების ირგვლივ.

10.2. თუ "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ 30 დღის ვადაში სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

## 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

ა) მხარეთა შეთანხმებით.

ბ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა

## 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 1 ივნისამდე.

**მხარეთა რეკვიზიტები:**

**„შემსყიდველი“**

სსიპ „მწერალთა სახლი“
ს/კ 205299005
მის: ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის ქ. №13
ტელ: 2 97 41 01, 2 97 41 02
<u>საბანკო რეკვიზიტები:</u>
სახელმწიფო ხაზინა
TRESGE22
სახზინო კოდი 32100126

**„მიმწოდებელი“**

ფ/პ ალეკო ჩიღვინაძე
პ/ნ 01001028144
თბილისი ვერის შესახვევი №4/ მედეა (მზია) ჯუღელის N17, ბინა N42
ტელ: 577431800
<u>საბანკო რეკვიზიტები:</u>
ს.ს. ,,თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22

ა/ა GE19TB4930645063622512

**დირექტორ-მენეჯერი:**

**ნატალია ლომოური**

**ფ/პ**

**ალეკო ჩიღვინაძე**

writers house

Digitally signed by writers house
Date: 2019.04.19 12:50:24 +04'00'